ეროვნული
ბიბლიოთეკა

1913

ნაპერწკალი

ყაზბეგიანთა
ბუნარალი

· მცირე წლოვანთათვის ·

ᲛᲐᲘᲡᲘ.
№ 9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-IX. № 9. მაისი, 1913 წ.

იცით!?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I—იცით!?.—სურ. 1

II—გოგო, ქეთინო, მომხედე,—ლექსი შ. მდივანელისა . 3

III—არსენას სიხარული,—ლეო ქიაჩელისა . . . 5

IV—ბელურა და კურდღელი,—(გერმანულიდან) ა. შანშიაშვილისა 13

V—მეტიჩარა,—ერთ-მოქმედებიანი პიესა, (გადმოკეთებული რუსულიდან) ირაკლი ფერაძისა. 15

VI—მკითხველის წერილები 21

VII—გასართობი: გეოგრაფიული ამოცანა, რებუსი და აღსნა. 23

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ქერესელიძისა, გარაბეგის შესახვევი № 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოგოვ, ქეთინო, მოგხედე.

ბოგოვ, ქეთინო, მოგხედე,
სად მისდევ მარიკელასა?
ეკაკვილთ სამეგო გვიბარებს,
მამილო, ბაგშეებს ეველასა.

თეთრი გვირილა იმახის:
თქვენი მშობლების ლხენასა,
არ გამოგაკლოთ შვილებით
საერთო გულის ტკენასა.

კაბა-წითელი ეაეაჩო
გულით გვაფიცებს ზენასა:
მოგწყვიტეთ, წამიღევითო,
განა მე არ ვგრძნობ წეენასა.

ვარდი და იაც ეელს გვიწევს,
ველარ უძლებენ თმენასა,
სხვა ეკაკვილებიც მოუკლავს
კვნესას და ცრეცლთა დენასა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეტავ რას აუტანია
ეს ეჯაჯილები წერასა?
არ შესძის, ძაძავ, სწორედ,
ვერ მიეხვედრილვარ ვერასა!

შვილო, მეც ვერაფერს ვიტყვი,
თავად მისვდები ეველასა,
როცა სულ გადაიკითხავ
საკვარელ „ლედა-ენასა.“

Шио Мღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენას სიხარული.

ორიბი იყო არსენას დედა მართა, ძალიან ღარიბი. მას დიდად გაუჭირდებოდა ერთი შვილის—არსენას—აღზდა, რომ ერთი მეწველი თხა არ ჰყოლოდა, სახელად „ჯექა.“

ჯექა ჭკვიანი და ერთგული ბირუტყვი იყო. ის დღეში სამჯერ ბრუნდებოდა მინდვრიდან და რძით სავსე ცული მოჰქონდა სახლში. სამჯერ მოწველავდა დღეში ჯექას მართა, და ამნაირად მის ბატარა არსენას გამოულეველი რძე და მაწონი ჰქონდა.

არსენას უყვარდა ჯექა და დიდის გულმოდგინებით ზრუნავდა მისთვის. თუმცა სულ ექვსის წლისა იყო არსენა, მაგრამ კარგად ესმოდა, თუ რა სარგებლობა მოჰქონდა ოჯახისთვის ჯექას; ამიტომ, მოჰკრავდა თუ არა თვალს სადმე მინდვრის კიდეზე უხვ-ფოთლიან ეკალს, გაიქცეოდა და ჯექას დაუძახებდა; ეკლის ფოთოლს-კი ჯექა ძალიან ეტანებოდა. ჯექა მიუხვდებოდა არსენას და წამსვე გამოიქცეოდა მისკენ კიკინითა და ფეხების ბაგუნით.

ხშირად მიჰყვებოდა, მინდვრად ჯექას არსენა; გრძელი წკნელი ეჭირა ხელში, რადგანაც ეგონა, რომ მფარველობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწევდა საკვარელ თხას. ნამდვილად-კი ჯექა მოკვდებოდა არსენას: არასოდეს არ სტოვებდა ბავშვს მარტოდ, გვერდში ამოუდგებოდა ჰატარა ჰატრონს და დიდის სიფრთხილით იეურებოდა გარშემო, რათა სოფლის რომელიმე წუწკი ძაღლი, ან ბრიყვი ჰირუტევი რამე აკი განზრახვით არ მოჭვაროდა არსენას. ჯექამ იცოდა, რომ არსენას ესიამოვნებოდა მინდვრად ყოფნა და ამიტომ არ სწუხდა, თუ თავისუფლად ვერ იბალახებდა... ჯექასაც ძალიან უყვარდა არსენა.

არა-ერთხელ ყოფილა, რომ ჯექა, როგორც ჩახმახი, შემდგარა უკანა ფეხებზე და მამაცურის შეტევით უკან უბრუნებია კუდ-ამოძუებული ქოფაკი, ან თვით ვაციც-კი დაუფრთხია და გაუქცევია...

არსენა გრძნობდა ჯექას ძალასა, ის თავის ტოლებს არწმუნებდა, ჯექასთანა თხა მთელ სოფელში არ არისო, ხოლო ჯექას მომრევი მთელ ქვეყანაზე არ მოიპოვებაო!

— თემუიას დიდ კამბეჩსაც-კი გააქცევს ჩემი ჯექაო! — ამაყობდა არსენა.

ერთ საღამოს მოხდა, რომ ჯექა ჩვეულებრივად არ დაბრუნდა სახლში. ამან არსენა მეტად შეაწუხა: დარბოდა ეზოში და ხან ეზოს წინა კარებიდან გადასძახოდა ჯექას, ხან უკანა ალაგიდან უყივოდა საკვარელ თხას, მაგრამ ისე დაღამდა, რომ ჯექა არ გამოჩენილა. მაშინ არსენას დედა თვითონ გაიქცა მახლობელ ღელესკენ და ახლო მიდამო დაათვალიერა; თანაც ეძახდა თხას; მეზობლებსაც ჰკითხა, გამვლელ-გამომვლელსაც ჯექას ამბავი, მაგრამ არსენას მარჩენალი თხის კვალიც ვერსად აღმოაჩინა. დაბრუნდა შინ გულ-დაწყვეტილი.

— ნეტა სად დარჩა, ან რა მოუვიდა? ვაი თუ ტეიდან ვერ გამოაგნო და იქ დაუღამდა? — ამბობდა მართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა, ჯექა ხომ მოერევა ტურებს?— ჰკითხა არსენამ დედას.

არსენა დაფიქრებული იყო: მისი საგონებელი იმაზე მუშაობდა, თუ რა გზით შეიძლებოდა ჯექას ხსნა.

— სუ, შვილო!—გააჩუმა დედამ:—არ ახსენო ეგ ცრასახსენებლები! ღამის ჰირია, შვილო, და არ ვარგა!

არსენა შეშინდა: „ვაი თუ რაძე დაუშავე ჯექას, რომ ვსთქვი —იმითო.“

გაჩუმებული იყო არსენა, მაგრამ ფიქრით-კი ჯექასთან იყო—ტყეში—სადაც სულ, სულ ბნელოდა და სხვა-და-სხვა ავი ცხოველები დაძრწოდნენ.

— დედა, მე ვერ წავალ ახლა ტყეში?— კვლავ ჰკითხა არსენამ დედას, რომელიც ვახშმის მსადებას შესდგომოდა. მას კიდე ჰქონდა იმედი, რომ ჯექა დაბრუნდებოდა.

— არა, შვილო, როგორც-კი დაღამდება, ტეის კარები ეკეტება!

— ვინ ჰკეტავს, დედა, ტეის კარებს?

— ტეის მეფე, შვილო, რომელიც ღამის ფრიებზე მჯდომი ამოფრინდება უფსკრულიდან და ტყეში დაიბინებს!

— მერე ავია, დედა, ტეის მეფე?.. კარზე რომ დავაკაკუნოთ, ხმას არ გაგვცემს?

— ავი არ არის, შვილო, მაგრამ კაცები მაინც არ უყვარს!..

— რატომ არ უყვარს, დედა, ტეის მეფეს კაცები? ვინ გააჯავრა? ჯექაზე ხომ არ არის გაჯავრებული?

— ჯექაზე არა, შვილო.

არსენას ამ ლაპარაკის დროს ერთი ეური კარისკენ ჰქონდა. ის ეოველ წუთში მოელოდა ჯექას კიკინს. ადგებოდა კიდეც თავის ადგილიკან და კარით ღამის სიფრცეში გაიხედავდა, მაგრამ ეოველთვის გულ-დაწყვეტილი ბრუნდებოდა უკან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართამ ვახშამი დაამზადა. დედა-შვილმა ივახშმეს, არსენას გული არ მიუდიოდა საჭმელზე: თვალ-წინ უდგა ტეის მეფე გრძელი ხელებით და ფეხებით. თეთრი წვერები და თეთრივე თმა კოჭებამდე სცემდა ტეის მეფეს... არსენას წარმოდგენით ის კეთილი მოხუცი იყო, რომელსაც სახე ალერ'ია-ნად უღიმოდა.

ბავშვი თავის ნათლიას ამზგავსებდა მას. არსენას ნათლია მაღალი კაცი იყო, ახნაური, გრძელ, თეთრ-წვერ-ულვაშებიანი; განუერელად ატარებდა იგი წელზე ხმალს.

— ტეის მეფეს, დედა, ლეკური ხომ არ ჭკიდია?—არსენას მოაგონდა ნათლიას ლეკური.

— კი, შვილო...

იმედი მიეცა არსენას. მას სწამდა, რომ ტეის მეფე ლეკურით დაიცავდა ჯექას.

ნავახშმევს მართა ჭრაქით ხელში გამოვიდა სახლიდან და ალაგესკენ გაემართა, რათა კვლავ დაეთვალიერებინა ეზო და ახლო-მახლო ადგილი. არსენამ დედას მარჯვენა ხელი ჩაავლო კალთაში და კვალ-და-კვ'ლ გულის ცახცახით მისდევდა. ფართოდ ჭქონდა არსენას დაღებული თვალები: ცდილობდა შორს გაეჭვრიტა ღამის სიბნელე და ჯექასთვის სადმე მოეკრა თვალი.

ჯექა არსად იყო. ამაო ძებნის შემდეგ გულ-დაწყვეტილი დედა და შვილი დაბრუნდნენ სახლში. არსენას თვალებიდან ცრემლი მოსდიოდა.

— ნუ სტირი, შვილო! არ ვარგა! აი რაც აქეჯი მოგვეხოება სახლში, დაგბორკოთ ექვლა ოთხფესიანი აქეჯი, შვილო: სკამ-ლოგინები, მაგიდები, ტაბლაც! დაგბორკოთ მაგრად ოთხსავე ფეხებზე და ჯექას მტრებიც, რაც კი ტეეში, სულ ექვლანი დაიბორკებიან და ვერას გახდებიან. *)

*) ასეთი ცრუმორწმუნოებაა ხალხში. სამეგრელოში, მაგ., ხშირად მიმართავენ ამ „საშუალებას.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიტყვებით მართამ მონახა თოკები და დაიწყო შებორკვა ეველაფრის, რაც-კი ფეხზე იდგა.

არსენა მსწრაფლ მოიწმინდა თვალები და თავის მხრით მიეშველა დედას.

— დედა, გარედ რომ ტაბლა ჰკიდია, იმასაც უნდა შებორკვა?

— კი, შვილო, ტაბლასაც!

შემოიტანეს გარედან ტაბლა [1]). არსენამ შემოიხსნა წელზე ქამარი და ისიც-კი მოახმარა ამ საქმეს, რადგანაც თოკი გამოელიათ.

ამის შემდეგ დედამ დაანწვინა არსენა, ჰირჯვარი გადასახა და შუბლზე აკოცა. არსენა დადალული იყო, რადგანაც ავეჯის შებორკვაზე ბევრი იმეშავა.—ბუნდოვანად წარმოუდგა კვლავ ტეე, ტეის მეფე და ჯექა. ელანდებოდა შებორკილი ტურები, მგლები... შიშისაგან გული უფრთხიალებდა. იდუმალად ამბობდა:

— ღმერთო, გადამირჩინე ჩემი ჯექა... ჩემი საყვარელი ჯექა!

ამ სიტყვებზე ძილიც წამოეპარა არსენას და მიეძინა...

ჯექას გაჭირვება დარდად ჩაჭყოლოდა არსენას ძილში. მან სიზმარი ნახა, ვითომ ტეეში წასულიყვნენ დედა და არსენა ჯექას საძებნელად. ტეე შავ-ბნელი და უგზო იყო, მაგრამ არსენას არ ეშინოდა და ვაჟკაცურად ეჭირა თავი. ბევრი ეძიეს ჯექა, მაგრამ ვერ მონახეს. ბოლოს ტეის შუაგულში შეეყიდნენ. აქ ერთი დიდი მუხა იდგა. მუხის გარშემო ათასნაირი გადაზნექილ-გადმოზნექილი ხეები იზდებოდა. როგორც მუხას, ისე დანარჩენ ხეებს გარს შემორტყმოდა გრძელ-ქაცვიანი ეკალი და კატაბარდა. ჭეორსა და თაგვისარას გადაეხლართა ერთმანეთზე ხის ტოტები და ისედაც ბნელი ტეე ამ

[1]) ტაბლა—დაბალ-ფეხებიან გრძელი მაგიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილას ერთიანად გაეშავებინა. დიდ მუხასაც დიდრონი ტოტები ქოლგასავით გადაეხურა ამ ადგილისათვის.

აქა-იქ სოროებს შავად დაეღოთ ხახა და შემზარავად გამოიყურებოდნენ.

ამ ბნელ ადგილს რომ მიუახლოვდნენ, არსენას დედა შიშით შესდგა, მაგრამ არსენა წინ სწევდა, რადგანაც სწორედ ამ ადგილას ეგულებოდა საყვარელი ჯექა.

უცებ ქარმა დაბერა და ხეები შეანძრია. მაშინ ხეებს შორის სადღაც მიმალულებმა ცეცხლებრ მნათმა თვალებმა გაიბრჭყვიალა. მოისმა ნადირთა ბღავილი!

— ვაიმე!—დაიძახა არსენამ.

მის ხმაზე სწორედ მუხის ძირიდან ჯექამ დაიკივინა!.. არსენამ ამის გაგონებაზე ჯექასკენ გაიწია, მაგრამ... ფეხები არ დაემორჩილა. რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო ადგილიდან ვერ დაიძრა. ენაც სასაზე მიეკრა და ხმა ვერ ამოიღო. საშინლად შეწუხდა არსენა... დააცქერდა იმ ადგილს, საიდანაც მოისმა კიკინი. ნახა: ჯექა ჩახმახივით ამართულიყო, კისერი მოეღერებინა და რქები წინ წამოეწია საომრად. თვალებს აბრიალებდა და ეტეობოდა, რომ მზად იყო დაეთრგუნა მტრები...

ამის დანახვაზე არსენას უნდოდა დაეძახა ჯექასთვის, გაემხნევებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა და სწუხდა...

ჯექას გარშემო გამდგარიყვნენ ტურები და მგლები. მსეცებს კბილები დაეკრიჭათ. ბრჭყალებიანი თათები ჯექასკენ გაეშვირათ. ისინი ცეცხლს ჰერიდნენ თვალებიდან, მაგრამ ადგილიდან-კი ვერ იძროდნენ. დააკვირდა არსენა და ნახა, რომ სულ ეველა დაბორკილი იყო!.. მეტად გაუხარდა.—,,დედა! ჩაყვარელო დედა!'' უნდოდა ეთქვა სიხარულით დედისთვის, მაგრამ ხმა ვერ ამოელო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ერთ უშველებელ მხეცს—მგელი უნდა ეოფილიეო – ბორკილისათვის დაეკლო ბასრი კბილები და ღრიალით დაეწყო ძიძგნა თოკისთვის, რათა გაეწყვიტა და განთავისუფლებულიეო!.. საზიზღარი მხეცი მი'ხანს აღწევდა. არსენას უნდოდა ჯექასთვის დაეძახა:

— შეხედე, ჯექა, შეხედე მაგას, და სხვისი ნუ გეშინიაო!— მაგრამ ენას ვერ აბრუნებდა. მაშინ შეწუხდა არსენა; აცახცახდა. მგელმა-კი ორი ფეხი უკვე გაინთავისუფლა და უცებ გაექანა ჯექასკენ.

არსენას ამან ისეთი შიშის ზარი დასცა, რომ გონება დაებნა; ხედავდა, რომ მის თვალწინ იღუპებოდა ჯექა, თითონ-კი ვერას ახერხებდა.

მაშინ კვლავ დაჭბერა ქარმა. ფოთლებმა დაიშრიალა და საიდანღაც ტეის მეფე გაჩნდა. მეფეს ამოღებული ხმალი—(დიდი, დიდი ხმალი, როგორიც არსენას თავის დღეში არც-კი ენახა)—ეჭირა ხელში. თეთრი გრძელი წვერები უცანცარებდა; ეტეობოდა—მეტად გამწარალი იეო მგლებზე და ტურებზე.

სწრაფად მოიქნია ხმალი ტეის მეფემ და აშვებულ მგელს თავი წააგდებინა.—მაშინ გაქრა იქ წუვდიადი და მხეცებიც ისე გადიკარგნენ სადღაც, თითქო მათი ხსენებაც არ ეოფილიეოს იქა!..

არსენას ახლა ფეხებიც დაემორჩილა და ხმაც დაუბრუნდა.

— გამარჯობა, ჯექა... გამარჯობა...—წამოიძახა მან და საეკვარელ თხას მიეკარდა.

ჯექამაც ტკბილად დაიკიკინა და არსენასკენ გამოიწია... ტეის მეფე-კი ლმობიერი სახითა და ალერსიანი თვალებით უყურებდა მათ შეერას.

— ჯექა!.. ჩემო ჯექა!..—ეკვიროდა არსენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ეკერილმა ძილში იგი გამოაღვიძა. გამოელვიძა დედასაც, რომელიც შიშით მიეკარდა შვილს.

— რა იყო, შვილო!.. ცუდი რამ ხომ არ გეზმანა?

— არა, დედა!.. ჯექა განთავისუფლდა, ჯექა!.. ტეის მეფემ გადაარჩინა!.. ღმერთმანი, დედა!.. მე ვნახე ჯექა!!.—ამბობდა სიხარულით არსენა და ლოგინიდან იწევდა ასადგომად.

ისიც იყო განთიადი შლიდა ფრთას და ცის ტატნობიდან ნელა მოფრინავდა დედამიწისაკენ; მთებს იქით მიმალული მზის სხივების კონა მოჭქონდა სოფლისათვის.

არსენა წამოხტა და ჰერანგის ამარა გამოვარდა კარში. ის გაიქცა ალაგესკენ... უცებ იქვე ღობის მირიდან ჯექამ დაუკივინა არსენას...

— დედა!!. აგერ არის ჩემი ჯექა!.. აგერ!—იკივლა არსენამ და ელვასავით გადაეშვა ალაგეზე. ჩვეულებრივის კიკინით და ფეხების ბაკუნით მიეგება არსენას ჯექა და ნიშნად მისალმებისა გრძელი კისერი გაუწოდა. არსენა შემოეხვია კისერზე და „ჯექა, ჩემო, ჯექას“ ძახილით მიიხუტა გულზე...

არსენას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ეველას უამბობდა ჯექა'ს გაჯირვებას ტეეში, რადგანაც დარწმუნებული იყო, რაც-კი ენახა ძილში, ეოველივე ის ცხადლივ გამოეცალა ჯექას... ჯექაც უსმენდა არსენას მოთხრობას და წვერისა და თავის ცანცარით თითქოს უდასტურებდა ნათქვამს...

ლეო ქიაჩელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელურა და კურდღელი.

(გერმანულიდან).

ბრწყინვისგან კლანჭ-ამოკრული
ეანის ხირად სჯდა კურდღელი
და ბელურას შესჩიოდა,
ასე იყო ცრემლის მღვრელი:
—ფრინველთ მეფემ თუმცა დამკოდა,
ვერ იქმნაო ჩემი მკვლელი.

მას ჩიტუნა დასცინოდა:
რას აქნევდი შენს სიჩქარეს?
სხვა დროს თითქოს გიკვეხნია—
გავირბენო მსწრაფლად არეს?
შენთა ფეხთა კვლავ სიმარდე
იმ დროს რად ვერ მოიხმარეს,
როს დაგადგა გაჭირვება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როს არწივი შენკენ ჭქროდა?
მსდალო, შენ'ხე რა ამაოდ
წარმოდგენა დიდი მქონდა!

სთქვა ბედურამ, თან ნისკარტი
ფრთაში ჩაჭეო, მოიწმინდა;
ვნახოთ, ამ დროს დამცინავსა
თავს არწივი დააფრინდა;
აიტაცა მაღლა ცაში:
ხმა იხმოდა მისი მწარე;
და კურდღელმა მიაძახა:
აწ ფრთა შენი მოიხმარე.
ჭხედავ, თვით ხარ გასაჭირში
და განიცდი ესდენ ავსა!
ნუ დასცინი, ძმაო, ხსვასა:
გადაგხდება თვითონ თავსა!..

ა. შანშიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეტიჩარა.

(ერთ-მოქმედებიანი პიესა, რუსულიდან გადმოკეთებული).

მოქმედნი პირნი:

1. **თამრო** — 14 წლისა.
2. **ტასიკო** — 13 წლისა.
3. **ნატო** — 16 წლისა.
4. **ნინო** — 15 წლისა.
5. **ქეთევან** — 13 წლისა.
6. **თინათინ** — 12 წლისა.

პანსიონერი ქალები, ტასოს მეგობარნი.

სცენა წარმოადგენს ბაღს.

გამოსვლა I.

(თამრო და ტასიკო შემოდიან გადაშლილი წიგნებით ხელში).

ტასიკო. (დადის სცენაზე და ლექსს ზეპიროობს).

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი ფანარო,
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიფფანარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამრო. (დადის სცენაზე და ლექსს ზეპირობს).

ქართლის დედაო! ძუძუ ქართლისა
უწინ მაძულსა უზდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...

ტასიკო. თამრო, შენ ძალე ისწავლი გაკვეთილს?

თამრო. დიად! მერე რა გნებავს?

ტასიკო. როგორ მოგწონს ჩვენ სასწაულებულში ახლად მოსული?

თამრო. რომელი, თქვენ კლასში რომ არის?

ტასიკო. დიად, სწორედ ის ქალბატონი.

თამრო. ვერ ვიცნობ იმას კარგად; ისე-კი ეტყობა კარგი ქალია.

ტასიკო. (დაცინვით) ძალიან კარგია, შენმა ძმაემ.

თამრო. როგორ? რითი არაა კარგი?

ტასიკო. იცი, გუშინ რა საქმე ჩაიდინა?

თამრო. აბა სთქვი?

ტასიკო. გუშინ საგარჯიშო გაკვეთილი გაქონდა. ლიუბოვ კონსტანტინეს ასული შემოვიდა ჩვენ კლასში და გვითხრა: „რას გააკეთებთ ახლა, ბავშვებო? სამუშაო უნდა მოგცეთ, მაგრამ არ ვიცი, რომელია თქვენთვის უკეთესი: ამოცანები თუ წერილის წერაო?“ ახლად მოსულმა დაიძახა: „ამოცანები უკეთესია“-ო! ლიუბოვ კონსტანტინეს ასულმა აიღო და ისეთი ამოცანა მოგვცა, რომ ვერავინ იანგარიშა. ახლა ხომ მთელ კლასს ორები ექნება.

თამრო. ვერც შენ იანგარიშე, ტასიკო?

ტასიკო. ვიანგარიშე, და ჩემს გარდა კიდევ ექვსმა ქალმა იანგარიშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამრო. თქვენ კლასში ხომ მხოლოდ თოთხმეტი სულია — არა? მაშასადამე—კარგ მოწაფეებს უანგარიშიათ, ცუდებს-კი ვერა, როგორც ეოველთვის. სჩანს მხოლოდ ნახევარი კლასი მიიღებს ორს, და არა მთელი, როგორც შენა სთქვი.

ტასიკო. თინამაც და ქეთომაც იანგარიშეს. მხოლოდ იმათ გამოანგარიშებაში მოუვიდათ შეცდომა. ლიუბოვ კონსტანტინეს ასულმა სთქვა, მათ ოთხები ეკუთვნითო.

თამრო. ეოველთვის ეგრე იცი შენ. (აჯავრებს ტასიკოს) ,,მთელ კლასს ორები ექნება''-ო; მაგრამ გამოჩნდა, რომ მხოლოდ ხუთს ექნება ორი.

ტასიკო. ეს სულ ერთია. ახლად მოსული საშინელი მეტიჩარაა. ეველას ეჯავრება ჩვენ კლასში.

თამრო. ნატოსაც ეჯავრება?

ტასიკო. ნატოს ვინ ეჯავრება, რომ იგი ეჯავრებოდეს? მას სტეფანე დარაჯი და მარიამ მზარეული ქალიც-კი უყვარს.

თამრო. ამისათვის ნატოც ეველას უყვარს.

ტასიკო. განა შეიძლება, რომ ნატო არ გიყვარდეს? იმაზე კეთილი მთელ ქვეყანაზე არაფინ არის. ოჰ, რომ იცოდე, რა კეთილი გულისაა ნატო! მერე იცი, როგორ გვიხსნის ხოლმე მოცემულ გაკვეთილს! ხან-დახან კლასში რაიმე მიზეზისა გამო ყურს არ უგდებ იმას, თუ რას ხსნის მასწავლებელი. ნატო-კი გაკვეთილის შემდეგ მოვა შენთან და გეტყვის: ,,გინდა, მე აგიხსნი გაკვეთილს? შენ ყურს არ უგდებდი მასწავლებელსაო.'' მიკვირს, ღმერთმანი, როგორ შეიტყობს ხოლმე იმას, ვინ ყურს არ უგდებდა, ვინ ვისთან წაიჩხუბა, ვინ გასვარა მელნით რვეული, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ დაჭარგა წიგნი; იგი ეველას ისინისგან ეძებენ ცდელისგან.

თამრო. თქვენ-კი სარგებლობთ განა მისი კეთილი გულით?

ტასიკო. (სიცილით). მოდი-და ნუ ისარგებლებ, როცა ისე ტურფად გთხოვს; ,,აიღე ჩემი რვეული, თორემ მოგხვდება. მე-კი ბევრი მაქვს სუფთა რვეულიო.''

თამრო. საშინელი კეთილია თქვენი ნატო.

ტასიკო. დღეს დილით, როცა ჩვენ ჩაის ვსვამდით, ახლად მოსულიც იქ იყო, რასაკვირველია. ზის, და ჩაის არ სვამს. ,,რატომ ჩაის არ სვამო?'' იმან-კი მიუგო: ,,მე შავი ბურით ჩაის არ გიახლებითო.'' (დაცინვით) მითხარით, თქვენი ჭირიმეთ: რა დიდი ქალბატონია! ჩვენ ეველანი შავ ბურს გიახლებით, და იმან-კი— ,,არ გიახლებითო.''

თამრო. იქნება მართლა სწყინს შავი ბური: ისე სუსტად გამოიცქირება.

ტასიკო. რატომ ჩვენ არ გვწყინს? მაგა ჩვენი გვეუბნებოდა, უსათუოდ შავი ბური უნდა სჭამოთო, და გაგვიწურებოდა სოლმე, როცა წვენს უბუროდ ვხვრეტდით.

თამრო. მერე? ნატომ თავისი ფუნთუშა მისცა, არა?

ტასიკო. იმავ წამში.

თამრო. ოჰ! გვეეოფა ამდენი ებედობა. სჯობს ლექსი კარგად დავიზეპიროთ.

ტასიკო. მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა. მეც ჯერ კიდევ ბევრი დამრჩა დასაზეპირებელი. (სცილდებიან ერთმანეთს და ხმა-მაღლა სწავლობენ).

ტასიკო. (ერთი წუთის შემდეგ). ჰო, იცი რა, თამრო?

თამრო. (თითქოს არ უნდაო წიგნიდან თვალის მოშორება). აბა სთქვი რა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტასიკო. მე მინდა, ჭკუა ვასწავლო იმ მეტიჩარას.

თამრო. რისთვის არის მეტიჩარა? განა მხოლოდ იმისთვის, რომ გუშინ დაიუვირა, აძოცანების კეთება უკეთესიაო?

ტასიკო. დღესაც კიდევ გეოგრაფიის გაკვეთილზე ჩვენ ბუნდოვან სურათებს გვაჩვენებდნენ. ის... ის მეტიჩარა, ის უბედურ დღის გაჩენილი, ყველაზე წინ გამოხტებოდა ხოლმე სხვა-და-სხვა კითხვებით და ყოველთვის ყველაზე წინ უპასუხებდა. ანნა გიორგის ასული კიდევაც გაბრაზდა და დაუყვირა: „დაჯექი, თუ ღმერთი გწამს, შენს ადგილას, მე ქარაფშუტა, შენაო! შენი გულისათვის სხვები ცუდად ხედავენ სურათებსაო.“

თამრო. ჩვენ დიდი სანია, რაც ამ სასწავლებელში ვართ; ის კი სულ ახლად მოსულია, და, რასაკვირველია, ჯერ არ შესჩვევია აქაურ წესწყობილებას.

ტასიკო. შენ ხომ საშინელი დიდი მოსარჩლე სარ ყველასი. (წყენით ამბობს, და განაგრძობს). სულ ერთია, მე მოვიგონებ რამეს, რითაც შეძლია ჭკუა ვასწავლო იმ მეტიჩარას, იმასა...

თამრო. ცუდსაც ჩაიდენ. მაგრამ მე აქ შენთან ვერაფერს ვერ ვისწავლი. უკეთესია წავიდე კლასში, სადაც, მგონი, არავინ იქნება. (მიდის და თან ლექსს იმეორებს).

გამოსვლა II.

(ტასიკო მარტოა სცენაზე).

ტასიკო. (აჯავრებს თამროს). „ცუდსაც ჩაიდენ!“ არა, ერთი მიბრძანეთ, ბატონებო: განა სასიამოვნოა, რომ ნატო სულ იმ უბედურ, სამაგელ მეტიჩარასთან დადის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ზედაც ადარ მიცქერის? წინად, როცა სადმე წავიდოდი, მაშინვე იკითხავდა ხოლმე: „სად არის ტასო? საითკენ წავიდაო?“ ახლა-კი ეგ ადარ ხდება. ნატო ჩემდამი სიყვარულს ადარ გრძნობს და ადარც იმას ამბობს, რომ მე იმისი საუკეთესო მეგობარი ვარ. (კარებში იცქირება). აგერ ისინიც მობრძანდებიან. უკეთესია გავიქცე, რომ არ დაეინახო ეს მეგობრები. (მირბის).

ირაკლი ფერაძე

(დასასრული იქნება).



ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ კეთილ ინებოთ და ჩვენც ჩაგვრიცხოთ ფრინველთა დამცველ საზოგადოების წევრებად. სულითა და გულით გვიყვარს ფრინველები და ყოველთვის მათი ფხიზელი დამცველი ვიქნებით.

გიორგი, ლევან და ირაკლი კიკნაძენი.

ქ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად ჩვენც ჩაგვწეროთ ფრინველთა დამცველ საზოგადოების წევრებად. — დაკისრებულ მოვალეობას სიამოვნებით ავასრულებთ.

თბილისის ქართ. გიმნ. 4 კლ. მოწაფე **გიორგი ბაქრაძე.**
ქალთა იმავე გიმნ. 1 კლ. მოწაფე **კატო ბაქრაძე.**

ქ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ მეც ჩამწეროთ ფრინველთა დამცველ საზოგადოების წევრად. პირობას ვდებ, რომ ყველა ღონისძიებას ვიხმარ ფრინველთა დაცვისათვის.

თბილ. ქართ. გიმნ. III პარ. განყოფილების მოწაფე
კონსტანტინე ყანდარელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ-ნო რედაქტორო!

ჩვენ ამოვიკითხეთ ნაკადულის მე-6 ნომერში წერილი რედაქციის მიმართ. აღტაცებით ვეგებებით „მაისის კავშირის" კეთილ მიზანს. დღეიდან ჩვენც ვეწერებით ზემო აღნიშნულ საზოგადოების წევრთა რიცხვში. იმედია ბევრი სხვა თანამოაზრენიც გაამოგვიჩნდებიან.

ი. თ. და **ს. ჯიბლაძეები. ნ.** და **ს. სვიმონიშვილები.**
გ. და **ფ. ავჩარენკონი. ნ სხირტლაძე** და **ა. უზუნაშვილი.**

ქ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ჩამწეროთ ფრინველთა დამცველ საზოგადოების „მაისის კავშირის" წევრად. ყველა პირობებს სავსებით შეავსრულებ.

კისლოვოდსკის გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფე

არკადი ხინთიბიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიული ამოცანა

(წარმოდგენილი გრ. ფერაძის-მიერ).

ავიღოთ შემდეგი სიტყვები:

1. მდინარე იმერეთში—7 ასოსაგან.
2. მონასტერი მესხეთში, დაარსებული თამარ მეფისაგან—6 ასოსაგან.
3. სამაზრო ქალაქი მესხეთში—8 ასოსაგან.
4. მდინარე იმერეთში—5 ასოსაგან.
5. მდინარე სამეგრელოში—6 ასოსგან.
6. ერთი მხარე საქართველოში—7 ასოსაგან.
7. მდინარე კახეთში—4 ასოსაგან.

ამ სიტყვების პირველ ასოებისაგან უნდა გამოდიოდეს თელავის მაზრაში მდებარე სოფლის სახელი, რომელიც ბეგრჯელ აოხრებულა ლეკებისაგან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი.





რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ტომის თავგადასავალი,**—თხზ. მარკ ტვენისა, ფასი. 50 კ.

2) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზ. ავენარიუსისა, ფასი. 20 კ.

3) **დასურ-თებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი. . . 1 20 კ.

4) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.

5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.

6) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . 60 კ.

7) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.

8) **ამშობლო ბუნების სარკე,** დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები, - ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.

9) **ამხ. „ცისკრის“ გამოცემა,**—ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ფასი . . . . . 5 კ.

10) **შობა,** მოთხრობა ურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.

11) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი — ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.

12) **სამშობლო ბუნების სარკე,**—ივ. ელიაშვილისა, ფ 30 კ.

1913 წ. მიიღება ხელის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასურათებულ საუმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მეცხრე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები ⁄ პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

1913 წელს წლიური ხელის მომწერნი ორივე გამოცემისა **საჩუქრად მიიღებენ ამერიკელ მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან, „ბიძია თომას ქოხი“**-ს სრულ თარგმანს. **წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია.**

თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა ილია ნაკაშიძემ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინ. ᲡᲠ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან და ვლ. ნაცვალ-ძესთან. **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ⁄ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვახო ᲨᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ. **ახალ-ციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სილნალში**—ნ. ახმეტელაშვილთან. **ყარსში**—ივ. სასთაშვილთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**.

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი**.